



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ბრძანება

თბილისი



MES 0 21 0001306886



03/12/2021

„სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის N1245475 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილესა და მინისტრის მოადგილეს შორის უფლებამოსილების განაწილების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 მარტის N258588 ბრძანების მე-4 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 01 დეკემბრის N1290558 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის N1245475 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამა (პროგრამული კოდი - 32 05 04) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
მიცკევიჩი ნუნუ

ნ. მიცკევიჩი

დანართი

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამული კოდი 32 05 04

ქვეპროგრამა 3

„ღია მეცნიერების“ განვითარების ხელშეწყობა

პროგრამული კოდი - 32 05 04 06

2021 წელი

მუხლი 1.

ქვეპროგრამის დასახელება	„ღია მეცნიერების“ განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	2021 - 2022 წელი
პროგრამის ჯამური ბიუჯეტი	1,396,500.00 ლარი
პროგრამის ხელმძღვანელი	ნუნუ მიცკევიჩი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე
ბიუჯეტის განმკარგავი	ჯაბა სამუშია - სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი
ოპერაციული მენეჯერი	ერეკლე ასტახიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე

მუხლი 2. ქვეპროგრამის აღწერა

„ღია მეცნიერების“ განვითარების ხელშეწყობის, ამასთან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) სისტემაში შემავალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტეგრირებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების და სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერების, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და უმაღლესი განათლებისა და კვლევითი საქმიანობის ურთიერთანამშრომლობის ინსტიტუციური მხარდაჭერის მიზნით გაიცემა დაფინანსება, რომელიც საშუალებას მისცემს სსიპ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ინტეგრირებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულებს და სამინისტროს სისტემაში შემავალ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს (სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, სსიპ გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი, სსიპ ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია) გახადონ დაწესებულების სამეცნიერო პროდუქტიულობისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის.

მუხლი 3. ქვეპროგრამის მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია სამინისტროს სისტემაში შემავალ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ინტეგრირებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების და სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ -

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, სსიპ გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი, სსიპ ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია) სამეცნიერო პროდუქტიულობის და მათ შორის ბოლო 20 წლის განმავლობაში, ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონორის მიერ დაფინანსებული გრანტების ფარგლებში განხორციელებული პროექტების, გამოცემული პუბლიკაციების და არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნა და ამ ბაზის ღიაობის უზრუნველყოფა.

მუხლი 4. ქვეპროგრამის განხორციელების სტრატეგია

1. დაფინანსების გაცემას ახორციელებს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომ - ფონდი).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების გაცემის მიზნით ფონდი უზრუნველყოფს:
 - ა) ქვეპროგრამის ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარი დაწესებულებების მიერ მოსამზადებელი ინფორმაციის ჩამონათვალის დამტკიცებას;
 - ბ) ხელშეკრულებების გაფორმებას;
 - გ) დაფინანსების გაცემას;
 - დ) გამოყოფილი დაფინანსების შესახებ ანგარიშების ფორმებისა და ანგარიშების წარდგენის ვადების დამტკიცებას;
 - ე) ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს, ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.
3. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება გაიცეს შემდეგი ძირითადი ფინანსური მოთხოვნების მიხედვით:
 - ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები დაფინანსებას მიიღებენ მათ შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების რაოდენობის მიხედვით, თითოეულზე არაუმეტეს 28,500.00 ლარის ოდენობით, ხოლო სსიპ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები - შესაბამისად არაუმეტეს 28,500.00 ლარს. ფონდი უზრუნველყოფს დაფინანსების გაცემას ამ ქვეპროგრამის მე-9 მუხლის შესაბამისად.
 - ბ) აღნიშნული თანხა უნდა მოხმარდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ვებგვერდზე ამ ინფორმაციის განთავსებას.
 - გ) დაფინანსების აუთვისებელი ოდენობა ბრუნდება სახაზინო კოდის ერთიან ანგარიშზე.

მუხლი 5. ქვეპროგრამის მიზნობრივი ჯგუფი

ქვეპროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს სამინისტროს სისტემაში შემავალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები და სამინისტროს სისტემაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, კერძოდ:

ა) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებია:

- ა.ა) ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
- ა.ბ) რაფიელ აგლამის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი
- ა.გ) არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
- ა.დ) მიხეილ ნოდისა გეოფიზიკის ინსტიტუტი
- ა.ე) ელფეთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი
- ა.ვ) შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
- ა.ზ) ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი
- ა.თ) ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი
- ა.ი) კავკასიის ალ. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი
- ა.კ) ანდრია რაზმაზის მათემატიკის ინსტიტუტი
- ა.ლ) ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი
- ა.მ) პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
- ა.ნ) ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
- ა.ო) თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი
- ა.პ) პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
- ა.ჟ) მაღალი ენერჯების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
- ა.რ) ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ბ) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები:

- ბ.ა) ბიოტექნოლოგიის ცენტრი
- ბ.ბ) ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი
- ბ.გ) ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი
- ბ.დ) ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
- ბ.ე) ვლადიმერ ჭავჭავაძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი
- ბ.ვ) ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი
- ბ.ზ) ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი
- ბ.თ) სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო - ტექნოლოგიური ცენტრი
- ბ.ი) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ტალღა“
- ბ.კ) ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
- ბ.ლ) კვების მრეწველობის ინსტიტუტი
- ბ.მ) მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი
- ბ.ნ) არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი
- ბ.ო) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი "ტექინფორმი"
- ბ.პ) კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი

გ) სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები:

- გ.ა) ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი
- გ.ბ) იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

დ) სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები:

- დ.ა) გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
- დ.ბ) ბოტანიკის ინსტიტუტი
- დ.გ) დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი

- დ.დ) ზოოლოგიის ინსტიტუტი
- დ.ე) პოლიტოლოგიის ინსტიტუტი
- დ.ვ) დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი
- დ.ზ) საველე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი
- დ.თ) დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ე) სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ე.ა) ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
- ე.ბ) აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი
- ე.გ) ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი

ვ) სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ზ) სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი

თ) სსიპ - გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი

ი) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია

მუხლი 6. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო პოტენციალი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება მათი ვებგვერდზე გადატანის გზით, „ღია მეცნიერების“ პოლიტიკის განვითარების ფარგლებში, რაც თავის მხრივ ქვეყნის მკვლევართა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირებისა და სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში წარმატებული მონაწილეობის წინაპირობა იქნება. ქვეპროგრამის ფარგლებში განვითარდება ეროვნული სამეცნიერო ელექტრონული პლატფორმა, რომლის ინტეგრირება შემდგომში უკვე მოხდება ევროპულ ქსელებთან.

მუხლი 7. ქვეპროგრამის სპეციფიური ამოცანები, ვადები და შესაბამისი აქტივობები:

№	ამოცანა	აქტივობები	ვადები
1.	ქვეპროგრამის დამტკიცება	ელექტრონული ბაზის მომზადება, ქვეპროგრამის კოორდინირება კონსულტაციები.	2021 წლის ნოემბერი
2.	დაფინანსების ხელშეკრულების გაფორმება, დაფინანსების გაცემა, შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიში წარდგენა	ქვეპროგრამის ბენეფიციარებთან კოორდინირებული თანამშრომლობა	2021 წლის დეკემბერი, 2022 წელი

მუხლი 8. ქვეპროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები/ვალდებულებები

პასუხისმგებელი უწყება/სტრუქტურული ერთეული/პოზიცია	ფუნქციები/ვალდებულება
ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტი	ქვეპროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების შემუშავება და დამტკიცება
ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტი	ქვეპროგრამის ადმინისტრირება
ფონდის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური	საჭირო ელექტრონული ბაზის აწყობა
ფონდის საფინანსო ეკონომიკური დეპარტამენტი	ქვეპროგრამის ფინანსური მართვა, ადმინისტრირება

მუხლი 9. ქვეპროგრამის ბიუჯეტი

N	დასახელება	2021 წელი
1	„ღია მეცნიერების“ განვითარების ხელშეწყობა	1,396,500.00
	გრანტები	1,396,500.00

მუხლი 10. ქვეპროგრამის ფარგლებში გასაწევი აქტივობების ხარჯთაღრიცხვა

დასახელება	2021 წელი
ა) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს:	484,500.00
ბ) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს:	427,500.00
გ) სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს:	57,000.00
დ) სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს:	228,000.00
ე) სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	85,500.00
ვ) სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	28,500.00
ზ) სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი	28,500.00
თ) სსიპ - გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	28,500.00

ი) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია	28,500.00
ჯამი:	1,396,500.00

მუხლი 11. მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები მიმდინარე წლისთვის

11.1 საბაზისო მაჩვენებელი - ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ხუთ სსიპ - უნივერსიტეტთან მოქმედი 45 დამოუკიდებელი სამეცნიერო ერთეული და ოთხი სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება.

11.2. მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

11.3. ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) – 10%

11.4. რისკები და მათი დაძლევის გზები:

რისკები	რისკების იდენტიფიკაცია	რისკების დაძლევის გზები
ბიუჯეტის აუთვისებლობა	პროგრამის ბენეფიციართა მიერ თანხის აუთვისებლობა	განსახორციელებელი ამოცანების დროული დაგეგმვა